ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5323519

ნომერი: AR1808124

თარიღი : 04.03.2021

გაცემის თარიღი : 12.03.2021

გაცნობის თარიღი : 13.03.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირის II ჩიხი N5ა; ქალაქი თბილისი , ი.ჭავჭავაძის გამზირი , II ჩიხი N5;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნიკოლოზ აბაშიძე პ/ნ 01007000077
- თბილისი ივ.ტურგენევის ქ. N 7

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. დიზაინერული სტუდია "ნიკოლო&ვაჟები" კოდი: 205208210

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი NAR1808124 ელექტრონული განაცხადი, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ 2021 წლის 02 მარტის N5310661 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირი , II ჩიხი N5-ში, შპს "ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა"კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.14.14.011.196) დადასტურდა ღობის მოწყობის შესაძლებლობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით ღობე უნდა მოეწყოს N 01.14.14.011.196 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირი , II ჩიხი N5-ში, (საკადასტრო კოდი 01.14.14.011.196), ამ ეტაპზე სამსახურში ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი განაცხადი სამსახურში მიღებულია ცნობის სახით.

ამასთან გაცნობებთ, რომ სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.
